შპს საფეხბურთო კლუბი „მეშახტე“

LTD FOOTBALL CLUB MESHAKHTE

კლუბის საშეჯიბრო სახელწოდება ს/კ „მეშახტე“

ს/კ 219630228

ქ.ტყიბული, თაყაიშვილის N3

ტელ: +995 599 24 92 49

შპს საფეხბურთო კლუბი „მეშახტე“

N183 **15.09.2025 წელი**

ბავშვთა დაცვის პოლიტიკა

საფეხბურთო კლუბი „მეშახტე“ სრულად არის ერთგული ბავშვების უსაფრთხოების, კეთილდღეობისა და უფლებების დაცვის პრინციპების. ჩვენ გვჯერა, რომ ბავშვებს უნდა ჰქონდეთ უსაფრთხო, მეგობრული და მხარდამჭერი გარემო, სადაც ისინი სპორტს განავითარებენ, სწავლობენ გუნდურობას და იღებენ სიამოვნებას ფეხბურთისგან.

კლუბს ჰყავს ბავშვთა სკოლის მენეჯერი, რომელიც პირდაპირ არის პასუხისმგებელი ბავშვების დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე. მენეჯერი ვალდებულია თითოეულ მატჩზე ახლდეს ბავშვებს. გამონაკლის შემთხვევაში, ის წინასწარ ნიშნავს სხვა კომპეტენტურ პირს, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვების უსაფრთხოებას.

- მენეჯერის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი გამოკრულია სავარჯიშო სტადიონზე, რათა მშობლებს ნებისმიერ დროს ჰქონდეთ მასთან პირდაპირი წვდომა.

საფეხბურთო კლუბი „მეშახტე“-ს უსაფრთხოების პრინციპები

- ყველა ვარჯიში და მატჩი ტარდება შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების დაცვით.
- დაუშვებელია ნებისმიერი სახის ბულინგი, შევიწროება ან ბავშვზე ფსიქოლოგიური ზეწოლა.
- ბავშვთან დაკავშირებული ინფორმაცია იცავს პირადობისა და უსაფრთხოების წესებს.
- არასრულწლოვანი ფეხბურთელები არასოდეს რჩებიან უფროსის მეთვალყურეობის გარეშე.

კლუბში განთავსებულია ანონიმური ყუთი, სადაც ბავშვებს შეუძლიათ წერილობით გამოხატონ:

- საკუთარი ემოციები და განცდები;
- სურვილები და იდეები, რა უნდათ რომ განავითარონ;
- სირთულეები, რასაც აწყდებიან ვარჯიშებსა და ყოველდღიურობაში;
- ის საკითხები, რასაც ისინი ფიქრობენ რომ კლუბმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს.

ეს ინიციატივა ეხმარება კლუბს:

- თითოეული ბავშვის განსხვავებული ხმის მოსმენაში;
- ნდობის გაღრმავებაში, რადგან ბავშვებს შეუძლიათ უსაფრთხოდ და ანონიმურად გამოთქვან საკუთარი აზრი;
- უფრო ახლო კონტაქტის დამყარებაში, რათა უკეთ გავიგოთ მათი საჭიროებები.

ტრენინგები და ცნობიერების ამაღლება

- კლუბში ტარდება სპეციალური ტრენინგები ბავშვებისთვის, რომლებიც ეხება უსაფრთხოებას, ურთიერთპატივისცემასა და ბულინგის თავიდან აცილებას.
- კლუბის მწვრთნელები და თანამშრომლები რეგულარულად გადიან ბავშვთა დაცვის თემატურ სემინარებს, რათა იცოდნენ როგორ იმოქმედონ საგანგებო სიტუაციებში.

კომუნიკაცია მშობლებთან და სკოლებთან

- მშობლებს ყოველთვის შეუძლიათ ბავშვთა სკოლის მენეჯერთან პირდაპირი კონტაქტი.
- კლუბი უზრუნველყოფს ღია და გამჭვირვალე კომუნიკაციას-მშობლები წინასწარ იღებენ ინფორმაციას მატჩებისა და ვარჯიშების შესახებ.
- ნებისმიერი მშობელი ან ბავშვი უფლებამოსილია შეიტანოს საჩივარი ან გამოთქვას შეშფოთება.
- საჩივრები განიხილება დაუყოვნებლივ და კონფიდენციალურად.
- კლუბი იღებს შესაბამის ზომებს ბავშვის ინტერესების დასაცავად.
- კლუბი მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ სკოლებთან, რათა სპორტული ვარჯიშები არ შეუშალოს ხელი ბავშვების განათლებასა და პიროვნულ განვითარებას.
- საჭიროების შემთხვევაში ხდება გრაფიკების შეთანხმება, რომ ბავშვებს ჰქონდეთ სწავლის, ვარჯიშისა და დასვენების დაბალანსებული რეჟიმი.

დამატებითი ვალდებულებები:

- კლუბი აკონტროლებს, რომ ტრანსპორტირება უსაფრთხოდ მოხდეს.
- ფოტოსურათებისა და ვიდეოების გადაღება მხოლოდ მშობლების წინასწარი თანხმობით ხდება.
- კლუბის ყველა თანამშრომელი ეთიკის კოდექსით ვალდებულია დაიცვას ბავშვთა უფლებები და კეთილდღეობა.

- **ბავშვების უსაფრთხოება არის ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტი.**
- **თითოეულ ბავშვს აქვს უფლება ითამაშოს, ისწავლოს და განვითარდეს უსაფრთხო გარემოში.**
- **ჩვენ ვუსმენთ ბავშვების ხმას-რადგან მათი აზრი ყველაზე მნიშვნელოვანია.**

შპს საფეხბურთო კლუბი

„მეშახტე“-ს დირექტორი: /ლევან ჯაფარიძე/

შპს საფეხბურთო კლუბი„მეშახტე“-ს

სოციალური პასუხისმგებლობის ოფიცერი: /ქეთევან ყვავაძე/

E-mail – klubimeshakhte@gmail.com ; ID:219630228

Address – Tkibuli, Georgia, Takaishvili str. N3
Phone Number- +995 599 24 92 49